Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 7 Issue 1, 2025
https://doi.org/10.52340/gs.2025.07.01.22

ქალთა მიმართ ძალადობის გაშუქების დინამიკა 2020-2025 წწ. („პალიტრა-ტვ-ის“, „რუსთავი 2-ის“, ტვ „იმედის“ მაგალითზე)

ლიტერატურის მიმოხილვა

ჟანა ასანიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციის დოქტორანტი,
Zhana.asanidze@ciu.edu.ge

აბსტრაქტი

ქალთა მიმართ ძალადობა გულისხმობს გენდერული ძალადობის ნებისმიერ აქტს, რომელიც იწვევს ქალების ფიზიკურ, სექსუალურ ან ფსიქოლოგიურ ზიანსა ან ტანჯვას. ამ ტიპის ძალადობა შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა ფორმით, მაგრამ არ შემოიფარგლება ოჯახში ძალადობით, სექსუალური ძალადობით, გაუპატიურებით, ადამიანებით ვაჭრობით, სასქესო ორგანოების დასახიჩრებითა და იძულებითი პროსტიტუციით. ეს არის გავრცელებული და ღრმად ფესვგადგმული პრობლემა, რომელიც გავლენას ახდენს ყველა ასაკის, წარმომავლობისა და სოციალური სტატუსის ქალებზე მთელ მსოფლიოში.

ამ საკითხის სწორი გაშუქება უზრუნველყოფს მსხვერპლთა დაცვასა და პრევენციას, რაც შეამცირებს ესოდენ გაზრდილ სტატისტიკას.

ზუსტი დეფინიციები და გაშუქების სწორი სისტემა ეხმარება საზოგადოებას, დამნაშავეებს მეტი პასუხისმგებლობა დააკისროს, „გაანეიტრალოს“ ის, რაც მომავალში ძალადობის შემცირებას გამოიწვევს.

სათანადო გაშუქებააცნობს საზოგადოებას ამგვარი ძალადობის გამომწვევ მიზეზებს, რისკფაქტორებსა და მოძალადეზე ზემოქმედების მექანიზმებს, რითაც ხელს უწყობს არა მხოლოდ პრევენციის მცდელობებს, არამედ სოციალურ ცვლილებებსაც.

სწორი გაშუქება საშუალებას აძლევს ,,გადარჩენილებს“, ისაუბრონ თავიანთ გამოცდილებაზე, დაარღვიონ სიჩუმე და მხარი დაუჭირონ ცვლილებებს. ასევე თავად გახდნენ იმ ადამიანების ,,დამხმარეები“, რომლებიც ჯერ კიდევ არ ფლობენ ინფორმაციას, როგორ დააღწიონ თავი ძალადობას, როგორ იმოქმედონ საჭიროებისას.

მთლიანობაში, ქალთა მიმართ ძალადობის სწორად გაშუქება აუცილებელია ადამიანის უფლებების ამ გავრცელებული დარღვევის აღმოსაფხვრელად, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ყველა ინდივიდისთვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად.

ძალადობის ფაქტების გაშუქებისას ეთიკური ნორმების იგნორირებას შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი შედეგები, როგორც ინდივიდებისთვის, ასევე, მთლიანად საზოგადოებისთვის. თუ მედია გაავრცელებს არასრულ ინფორმაციას ან დეზინფორმაციას,

ეთიკური სახელმძღვანელო პრინციპების გარეშე, ამან შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების დაბნეულობა, მედიასაშუალებებისადმი უნდობლობა, დაირღვეს უდანაშაულობის პრეზუმფციადა დანერგოს სტიგმები.

ამ პრაქტიკამ, შეიძლება ასევე დაარღვიოს კანონი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ, სენსაციაზე ორიენტირებულმა გაშუქებამ კი შეიძლება გამოიწვიოს ემოციური დისტრესი, ადამიანური რეპუტაციის დაზიანება და ფიზიკური ზიანიც კი.

აღნიშნული კვლევითი ნაშრომის მიზანია გამოავლინოს მედიის მიერ ძალადობის საკითხების გაშუქების დინამიკა, წარმოაჩინოს ამ მხრივ მედიის ტრანსფორმაციის ტენდენციები და შემუშავდეს გაშუქების ისეთი პრინციპები, რომლებიც არ წაახალისებს საზოგადოების გარკვეულ ნაწილს, გაზარდოს ძალადობის სტატისტიკა, არ გაამძაფრებს დაზარალებულთა ოჯახის წევრების მდგომარეობას, არ შექმნის ახალ სტიგმას და არ გააკეთებს გადაცემებში არასწორ აქცენტებს, რათა უნებურად არ მოხდეს დანაშაულის წახალისება.

საკვანძო სიტყვები: ძალადობა, გენდერი,გაშუქება, გაშუქების დინამიკა, ფემინიზმი, მიზოგინია, მსხვერპლი

შესავალი

ქალთა მიმართ ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე სოციალური პრობლემაა, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში საზოგადოებაში ფესვები ღრმად გაიდგა. ეს მოვლენა, რომელიც მოიცავს როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ, სექსუალურ და ეკონომიკურ ზეწოლას, სერიოზულ ზიანს აყენებს ქალთა ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს. ძალადობის ამ ფორმის გლობალურობის აღიარებასთან ერთად მისი პრობლემურობის გააზრება უფრო მნიშვნელოვანი გახდა, განსაკუთრებით ბოლო წლებში. ქალთა უფლებრივი შეზღუდვის პარალელურად იმატა მათზე თავდასხმისა და კრიმინალის ფაქტებმა.

მედიას აქვს განსაკუთრებული როლი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში, მისი შეხედულებების გაძლიერებასა და, შესაბამისად, სოციალური ცვლილებების ინიციირებაში. მედიასაშუალებების ეთერი, ბეჭდური და ვებპლატფორმები ხშირად არის ის სივრცე, სადაც ქალთა მიმართ ძალადობის საკითხი საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი და თვალსაჩინო ხდება. ამიტომ, ძალზე მნიშვნელოვანია, თუ როგორ და რა კონტექსტით წარმოაჩენს მედია ქალთა მიმართ ძალადობას.

ინფორმაციის გასავრცელებლად, საზოგადოებრივი ყურადღების მისაქცევად და, საბოლოოდ, პრობლემის გადასაჭრელად, მედია უნდა იყოს ეთიკურად და პროფესიონალურად მოზომილი. ამასთანავე, სწორედ მას შეუძლია ძალადობის საკითხის გააქტიურება, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს საზოგადოებრივი დამოკიდებულებისა და რეაქციის მიმართულებაზე.

2020-2025 წლები განსაკუთრებული პერიოდია საქართველოს მედიასივრცეში ქალთა მიმართ ძალადობის გაშუქების დინამიკის შესასწავლად. ამ დროში საქართველოში არაერთი სერიოზული ცვლილება მოხდა მედიაგარემოს, საზოგადოებრივი ცნობიერებისა და სოციალური ქსელების გამოყენების თვალსაზრისით. COVID-19-ის პანდემიამ და

ლოკდაუნებმა საზოგადოებას ახალი რეალობა შესთავაზა, რამაც სერიოზული გავლენა იქონია როგორც ძალადობის ფაქტების გამრავლებაზე, ისე ამ თემის გაშუქებაზე მედიაში.

იზოლაციის პირობებში ძალადობის შემთხვევების რიცხვი გაიზარდა, ხოლო მედიის როლი მათ გამოვლენასა და რეაგირებაზე გადამწყვეტი აღმოჩნდა. მეტიც, კოვიდის პირობებში ქალთა ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობის გაუარესება შესამჩნევი გახდა, მათ ხშირად უწევდათ შეჯახება ძალადობის ფაქტებთან თანაცხოვრების პირობებში.

2020-2025 წლები განსაკუთრებულად საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ ქართული მედიასივრცე მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა როგორც ტექნოლოგიური პროგრესის, ისე სოციალური ცვლილებების ფონზე. ამ პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა სოციალურმა ქსელებმა და ონლაინმედიამ, რამაც გაზარდა ინფორმაციის გავრცელების სისწრაფე და მასშტაბები, თუმცა, ამავდროულად, შექმნა ახალი გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია ინფორმაციის სიზუსტესთან, ეთიკურ სტანდარტებსა და საზოგადოების სათანადო ინფორმირებულობასთან.

სოციალური მედიის მზარდმა გავლენამ და ონლაინპლატფორმების მნიშვნელობამ მედიაგაშუქების დინამიკა რადიკალურად შეცვალა. ინფორმაციის სწრაფმა გავრცელებამ ახალი შესაძლებლობები შექმნა, თუმცა, ამავდროულად, ახალი გამოწვევებიც წარმოშვა, განსაკუთრებით ინფორმაციის სიზუსტისა და ეთიკური სტანდარტების დაცვის კუთხით. ციფრულმა ტექნოლოგიებმა და სოციო-პოლიტიკურმა ცვლილებებმა გაამძაფრა როგორც სიუჟეტების შერჩევა, ისე მათი განხილვის ტენდენციების მრავალფეროვნება.

წინამდებარე საკვალიფიკაციო ნაშრომის მიზანია, გააანალიზოს ქალთა მიმართ ძალადობის გაშუქების ტენდენციები ქართულ მედიაში 2020-2025 წლებში, გამოავლინოს ის ძირითადი მახასიათებლები და სტრუქტურული ტენდენციები, რომლებიც ამ პერიოდში გამოიკვეთა. კვლევის შედეგები საშუალებას მოგვცემს, უფრო ღრმად გავაანალიზოთ მედიაში ქალთა მიმართ ძალადობის თემის წარმოდგენის სპეციფიკა, მისი გავლენა საზოგადოებრივ შეხედულებებზე და, შესაბამისად, რეკომენდაციები შევთავაზოთ მედიას მისი როლის გაუმჯობესებისა და საზოგადოების წინაშე არსებული გამოწვევების საპასუხოდ.

გაშუქების დინამიკის კვლევა საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს ტენდენციურობა და მარგინალიზება. ამ გზით შესაძლებელია იმის დადგენა, იყენებენ თუ არა მედიასაშუალებები არასწორ ტემინოლოგიას ან გვხვდება თუ არა სტერეოტიპული დამოკიდებულების გავრცელების ხელშეწყობის მაგალითები, რაც ახალისებს უთანასწორობას, არატოლერანტულობასა და მედიაპოზიციათა მრავალფეროვნების ნაკლებობას.

ქალთა მიმართ ძალადობის დინამიკის წარმოჩენა შესაძლებლობას იძლევა გამოვავლინოთ გადაცდომები, შევაფასოთ მედიასაშუალების ეფექტურობა აღნიშნულ პრობლემასთან ბრძოლაში, შევიმუშავოთ სწორი სტრატეგია საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად. მთლიანობაში, გაშუქების დინამიკის შესწავლა აუცილებელია უფრო ინფორმირებული, სამართლიანი და დემოკრატიული მედიალანდშაფტის შესაქმნელად.

საბოლოოდ, კვლევა მიზნად ისახავს, შეაფასოს, თუ რამდენად ეფექტურად მოახერხა ქართულმა მედიამ ქალთა მიმართ ძალადობის თემის გაშუქება, დააფიქსიროს არსებული ხარვეზები და გამოკვეთოს საუკეთესო პრაქტიკა, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია მედიაკონტენტის გაუმჯობესებისათვის.

კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები შეიძლება გამოიყენოს მედიამ სწორი გაშუქებისთვის, რაც, თავის მხრივ, სასიკეთოდ წაადგება საზოგადოების ცნობიერების ამაღლების საქმეს. ეს კი თავისთავად მნიშვნელოვანი ნაბიჯია ძალადობის პრევენციისთვის.

ქალთა მიმართ ძალადობის გაშუქების დინამიკის შესწავლა გვეხმარება გაგებაში, თუ როგორ ადგენს მედია დღის წესრიგს, აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს, დამოკიდებულებებსა და ქცევას. იმის გაანალიზებით, თუ როგორ ვრცელდება ინფორმაცია, მკვლევრებს შეუძლიათ შეაფასონ მედიამესიჯების პოტენციური გავლენა აუდიტორიაზე.

თემის აქტუალურობა და სამეცნიერო სიახლე

2006 წლის აშშ-ის იურისტთა ასოციაციის მიერ საქართველოში ჩატარებული საბაზისო კვლევის შედეგად, რომელიც ცდილობდა გამოევლინა საზოგადოებრივი აზრი ოჯახში ძალადობის შესახებ, აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა 75,5 % მიიჩნევს, რომ ოჯახში ძალადობა არ უნდა იქნას განხილული საჯაროდ, ვინაიდან ოჯახური პრობლემები ტაბუდადებული თემაა. 26,7 %-ის აზრით, ამ საკითხის განხილვა არ შეესაბამება ქართულ მენტალიტეტს მაშინ, როცა 20,5 %-ის განცხადებით, ამ საკითხის საჯაროდ გამოტანა უსარგებლოა, რადგან პრობლემა კვლავ იარსებებს ოჯახებში და ასეთი ქმედებით ოჯახში ძალადობის მაჩვენებელი ვერ შემცირდება. (georgia.unfpa.org, 2010)

სამეცნიერო დონეზე საკითხის შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, ამგვარი ფაქტების ზრდადი სტატისტიკის შესამცირებლად და საზოგადოებაზე ზემოქმედების მექანიზმების გამოსავლენად, რათა საკითხს არ დაედოს ტაბუ. დენის მაკქუეულის აზრით, მედია უფრო ღრმად მოქმედებს, ვიდრე სკოლა და მშობლები. ის შთაბეჭდილების ქვეშ გვამყოფებს, ამიტომ მნიშნელოვანია, როგორ გადმოსცემს ფაქტს მედია და რა დოზით. (მაკქუელი, 2020)

შესაბამისად, საკვლევად აღებული თემა აქტუალური და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან ქალთა მიმართ ძალადობის გაშუქების დინამიკის გამოვლენა შესაძლებლობას იძლევა წარმოვაჩინოთ ხარვეზები და ჩამოვაყალიბოთ აუდიტორიაზე ზემოქმედების სწორი სტრატეგია, რითაც ხელი შეეწყობა ქალთა მიმართ ძალადობის მზარდი სტატისტიკისა და ძალადობის მსხვერპლთა ბულინგის შემცირებას.

თემის მიზანი და ამოცანები

კვლევის ძირითადი მიზანი: კვლევის ძირითადი მიზანია გამოავლინოს თანამედროვე ტელემედიაში, კერძოდ, „პალიტრა-ტვ-ის“, „რუსთავი 2-ის“, ტვ „იმედის“ მაგალითზე ქალთა მიმართ ძალადობის გაშუქების დინამიკა. რაც შესაძლებლობას მოგვცემს შევაფასოთ მედიის განვითარება და წარმოვაჩინოთ საკითხის გაშუქების ტენდენციები. პოზიტიური და ნეგატიური ფაქტორების გამოვლენა, კვლევის კონკრეტული შედეგები სწორი სტრატეგიის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. შესაბამისად, დაეხმარება მედიის წარმომადგენლებს, სწორად გააშუქონ ფაქტები, დაიცვან ბალანსი და უდანაშაულობის პრეზუმფცია. ნაშრომი დაეხმარება

ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებსა და საკითხით დაინტერესებულ მკვლევრებს. ასევე

კვლევის ამოცანებია: ქალთა მიმართ ძალადობის საკითხების გაშუქების დინამიკის დასადგენად „პალიტრა-ტვ-ის“, „რუსთავი 2-ისა“ და ტვ „იმედის“ 2020-2024 წლების მედიაკონტენტის მონიტორინგი, მიღებული შედეგების ანალიზი და, ფოკუს ჯგუფის მეთოდის გამოყენებით, პასუხის გაცემა საკვლევ კითხვებზე. ასევე, ქალთა მიმართ ძალადობის გაშუქების სწორი სტრატეგიის შედეგად პრობლემის აღმოფხვრის მექანიზმების გამოვლენა (დარგის ექსპერტებთან სიღმისეული ინტერვიუირების მეთოდის გამოყენებით).

ნაშრომის ძირითადი საკვლევი შეკითხვები:

- რამ გამოიწვია ქალთა მიმართ ძალადობისა და ფემიციდის გაშუქების სტატისტიკის გაზრდა (მედიის ინტერესმა თუ ევროინტეგრაციისთვის აუცილებელი ნაბიჯების ფარგლებში ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობის აუცილებლობამ)?
- როგორ აშუქებს კონკრეტული ტელევიზია ქალთა მიმართ ძალადობას (ეთიკის ნორმათა დაცვით, თუ სკანდალური ელფერით)?

ამაღლებს თუ არა მედიაგზავნილი საზოგადოების ცნობიერებას?

ჰიპოთეზა

H_0: ხდება მოძალადის წახალისება და ე.წ. ვერთერის ეფექტის განმეორება.

H_1: მედიას აქვს ამბივალენტური დამოკიდებულება ან ე.წ. ორმაგი სტანდარტები ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების გაშუქებისას.

კვლევის საგანი და ობიექტი

კვლევის საგანი: მედიის მიერ ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების გაშუქების დინამიკის გამოვლენა.

კვლევის ობიექტი: კვლევის ობიექტებს წარმოადგენს „პალიტრა-ტვ-ის“, „რუსთავი 2-ისა“, ტვ „იმედის“ 2020-2024 წლების კონტენტი. დასაკვირვებლად ხსენებული მედიაორგანიზაციები მათი რეიტინგის გათვალისწინებით შეირჩა, რაც შესაძლებლობას იძლევა ქვეყნის მედიასაშუალებებში ქალთა მიმართ ძალადობის გაშუქების დინამიკის გამოვლენისას მაქსიმალურად პოპულარული მედიაკონტენტი გავაანალიზოთ.

კვლევის მეთოდი: კვლევაში გამოყენებული თვისებრივი კვლევის მეთოდი, შემდეგი ტექნიკებით:

- დოკუმენტების ანალიზი (კონტენტ-ანალიზი);
- სიღრმისეული/ექსპერტული ინტერვიუ
- Case-study

კვლევის მეთოდოლოგია

სიტუაციის ანალიზი (Case-study) კვლევის მეთოდია, რომელიც ეფუძნება რეალური სიტუაციის გამოყენებას მისი ანალიზის, პრობლემის გამოვლენის, მისი გადაჭრის ალტერნატიული გზების მოძიების მიზნით.

ამისათვის აუცილებელია:

- განვსაზღვროთ სიტუაციის რაგვარობა, მისი გენეზისი, დროის ფაქტორის მნიშვნელობა;
- განვსაზღვროთ მოქმედებათა რიგითობა, სტატისტიკა და შემდეგ გაშუქების დინამიკა.
- გამოვკვეთოთ ხერხები და მეთოდები, თუ როგორ ხდება სხვადასხვა მედიასაშუალებაში ამ ტიპის სიუჟეტების გაშუქება.
- გადავწყვიტოთ, რა ინსტრუმენტებია საჭირო კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად.
- შევარჩიოთ და დავასაბუთოთ გაშუქების ხარვეზის/პრობლემის გადაწყვეტის რამდენიმე შესაძლო ვარიანტი.

შემთხვევათა შესწავლა (სტატისტიკური დინამიკა) მკვლევრებს საშუალებას გვაძლევს, ღრმად ჩავუღრმავდეთ კონკრეტულ სიტუაციასა ან ფენომენს. ქალთა მიმართ ძალადობის გაშუქების დინამიკის შესწავლას შეუძლია, უზრუნველყოს მოქმედი ფაქტორების, მსხვერპლის წინაშე არსებული ბარიერებისა და პრევენცია/დახმარების ეფექტიანის გეგმის შემუშავება.

მრავალი შემთხვევის შესწავლით, მკვლევარებს შეგვიძლია განვსაზღვროთ საერთო ტენდენციები, რომლებიც იწვევენ ამ დანაშაულებათა სტატისტიკის ზრდას, შესაბამისად, გაშუქების დინამიკასაც.

სიტუაციური ანალიზი ხშირად მოიცავს მონაცემთა შეგროვების თვისებრივ მეთოდებს, როგორიცაა: ინტერვიუები, ფოკუს ჯგუფები და საქმეში მონაწილეთა დაკვირვება. შემთხვევის შესწავლის შედეგებმა შეიძლება ხელი შეუწყოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებას და საუკეთესო პრაქტიკის განვითარებას.

შემთხვევის შესწავლა ხშირად იძლევა ხელშესახებ შედეგებს, რეკომენდაციებსა და სტატისტიკის შემცირებასაც კი.

ამრიგად, სიტუაციური ანალიზის გამოყენება ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების გაშუქების კვლევისას იძლევა ყოვლისმომცველ ინფორმაციას, რომლის მიზანიც უნდა იყოს საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენა და დამკვიდრების მცდელობა.

კვლევის თეორიული ჩარჩო

შერჩეული თემის კვლევისას რელევანტურად მივიჩნიეთ რამდენიმე თეორია:

დღის წესრიგის თეორია (agenda-setting theory): ამტკიცებს, რომ მეინსტრიმული მედია ადგენს, რა სიუჟეტები და თემები გავიდეს მთავარ ბლოკში, ოღონდ ხალხს უსაზღვრავს, რაზე იფიქრონ. თეორიის თანახმად, საზოგადოება მედიის კარნახით, ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტებად სწორედ ამას მიიჩნევს. (McCombs&Shaw)

კოლონიალიზმისა და პოსტკოლონიალიზმის თეორია: (colonialism and postcolonialism Theory) კოლონიალიზმის ეპოქამ დიდი როლი ითამაშა მსოფლიო ისტორიაში, რომლის

მემკვიდრეობაც დღემდე მკაფიოდ იგრძნობა და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თანამედროვე ურთიერთობებს ყოფილ იმპერიასა და კოლონიას შორის. ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყნების ჩაგვრისა და იმპერიალისტური ქვეყნისთვის მათი დამორჩილების „მოდელი“ გადმოვიდა ოჯახურ და სოციალურ ურთიერთობებში. საერთაშორისო ურთიერთობის თეორიებიდან პოსტკოლონიალიზმი ყველაზე უკეთ ხსნის კოლონიური მემკვიდრეობის გავლენას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. სხვა წამყვანი თეორიებისგან განსხვავებით პოსტკოლონიალიზმი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კლასის, სქესის, რასისა და ეთნიკური წარმომავლობის ფაქტორს.

ნეოკოლონიალიზმის თეორია: მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პოსტ-კოლონიურ პერიოდში მომწიფდა. ,,დამოკიდებულების თეორია“ თავდაპირველად გაეროს ლაშნური ამერიკის კომისიის ხელმძღვანელმა რაულ პრებიშმა განავითარა. (www.nplg.gov.ge)

სტოკჰოლმის სინდრომის თეორია: არის ფსიქოლოგიური ფენომენი, რომელიც გულისხმობს მსხვერპლის არანორმალურ სიმპათიას იმ ადამიანის მიმართ, რომელიც მას ფიზიკური ზიანით ემუქრება. ეს რთული ფსიქოლოგიური თავდაცვის სტრატეგია სტრესულ სიტუაციებში პირველად დაასაბუთა ანა ფროიდმა. მამის შრომის საფუძველზე მან აღწერა იდენტიფიკაციის მექანიზმი და დაამტკიცა მისი არსებობა. ამ თეორიის თანახმად, ადამიანმა, რომელიც აღმოჩნდება ისეთ სიტუაციაში, რომელიც საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს, შეიძლება დაკარგოს რეალობის შეგრძნება იმასთან დაკავშირებით, რაც მის თავს ხდება. მსხვერპლის ბუნდოვანი ცნობიერება ხელს უწყობს მისი იდენტიფიცირების პროცესს თავდამსხმელთან, ადამიანი იწყებს ძალადობის გამართლებასაც კი ისე, რომ არც აცნობიერებს მოძალადის ქმედებების შედეგს. ასეთი მექანიზმი საშუალებას აძლევს მას დროებით ,,გამორთოს“ საფრთხის განცდა და აბსოლუტურად ინერტული გახდეს, მიიღოს რეალობა, როგორც ჩვეულებრივი ამბავი და არ აღიქვას მისი ტრაგიკულობა.

კოგნიტიური დისონანსის თეორია (Cognitive Dissonance Theory) - ამტკიცებს, რომ ჩვენი გონება გადის დაბნეულობისა და ლოგიკური კონფლიქტის პროცესს, როდესაც ეჯახება არსებული ინფორმაციის შეუსაბამო ახალ ინფორმაციას და კოგნიტიური დისონანსის მდგომარეობაში ვარდება. (Festinger, 1957)

ქალთა მიმართ ძალადობის გაშუქების შესწავლის გამოცდილება და გამოწვევები

ლიტერატურის მიმოხილვა

მკვლევრები, რომლებიც მუშაობენ ქალთა მიმართ ძალადობის გაშუქების თემაზე, ყურადღებას ამახვილებენ ამ საკითხთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტზე. ისინი აანალიზებენ, თუ როგორ არის ასახული ქალების მიმართ ძალადობა მედიაში, შეისწავლიან კადრებს, ენას, გამოსახულებებსა და ნარატივებს, რომლებიც გამოიყენება ახალ ამბებში. ისინი იკვლევენ, განაგრძობს თუ არა ტელემედია სტერეოტიპების დანერგვას, მსხვერპლთა დადანაშაულებასა ან ძალადობის ტრივიალიზაციას, როგორ მოქმედებს ეს წარმოდგენები საზოგადოების აღქმასა და დამოკიდებულებაზე გენდერული ძალადობის მიმართ.

მეცნიერები სწავლობენ მედიის მიერ ქალთა მიმართ ძალადობის გაშუქების დინამიკას, მათ შორის, დღის წესრიგის, ახალი ამბების შერჩევისა და სარედაქციო გადაწყვეტილებების მოდელებს. ისინი იკვლევენ ძალადობის რომელ ტიპებს ექცევა

ყველაზე მეტი ყურადღება მედიისგან, როგორ განსხვავდება გაშუქება სხვადასხვა მედიასაშუალებასა და პლატფორმაზე და ფაქტორებს, რომლებიც აყალიბებს მედიის დღის წესრიგს ამ საკითხთან დაკავშირებით.

დალი ოსეფაშვილი წიგნში MEDIA IN PROCESS TRANSFORMATION AND DEMOCRATIC TRANSITION სათაურით: ,,covering domestic violence against women in georgian print media, an problems of jurnalism ethics" წარმოადგენს კვლევის შედეგებს საშინაო კონფლიქტების თემაზე ქართულ მედიაში. ამ მიზნით ავტორმა შეისწავლა 2011-12 წლების ქართული მედია. კვლევის განსახორციელებლად გამოყენებული კონტენტ-ანალიზის მეთოდით დასტურდება, რომ ოჯახური კონფლიქტები ძირითადად გამოწვეულია ძალადობით. კვლევამ დაადასტურა, რომ ქალები არიან ოჯახური ძალადობის ძირითადი მსხვერპლნი, როგორც ქმრის, ასევე შვილების მხრიდან, თუმცა ისინი მაინც არ ტოვებენ ოჯახს და თავს არიდებენ ძალადობაზე საუბარს საჯაროდ. კვლევის მიხედვით, ასევე აღმოჩნდა, რომ ამ თემის გაშუქების სიხშირე დაბალია. ქართული მედია აშუქებს საბაზისო ინფორმაციას ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიის შესახებ, მაგრამხშირად ეს საკითხები შუქდება სენსაციური სტილით , როდესაც გარკვეული ფაქტები ილუსტრირებულია და, ამავდროულად, ირღვევა ჟურნალისტური პროფესიული ეთიკური სტანდარტები. კვლევის ავტორი ჟურნალისტებს სთავაზობს გარკვეულ რეკომენდაციებს, თუ როგორ უნდა გააშუქონ ასეთი მგრძნობიარე და ეთიკური თემები, რათა არ დააზიანონ ოჯახური კონფლიქტის მსხვერპლნი (ამ შემთხვევაში, ქალები) და კიდევ უფრო არ შეილახოს მათი უფლებები. (https://books.google.ge/, 2017)

ავტორები გულჩინ აკბაში, სუზან სეილან-ბათური ნაშრომში: ,,ინტიმური პარტნიორის მიერ ქალებზე ძალადობის გაშუქება მედიაში" (2023წ). ყურადღებას ამახვილებენ იმასზე, რომ მედია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ საზოგადოების აღქმისა და გაგების ჩამოყალიბებაში. აღნიშნულია, რომ მედიის გზავნილები ხასიათდება მკაფიო აქცენტით ქალის სექსუალურ სიწმინდესა და მამაკაცის დომინირებაზე. ,,ღირსების დამცავი კულტურა" ხშირად ამართლებს ქალთა მიმართ ძალადობას პატივის შენარჩუნების სახელით. ავტორების დასკვნები ცხადყოფს, რომ გაზეთები ძირითადად მსხვერპლის დადანაშაულებითა და მამაკაცის ძალადობრივი ქცევის გამართლებით არიან დაკავებულნი. გარდა ამისა, ახალი ამბების გაშუქება ხშირად ლოკალური ხასიათისაა, მედია ვერ აცნობიერებს მისი ფართოდ განხილვის აუცილებლობას, რითაც უნებლიეთ აძლიერებს მოძალადეს და ვერ უჭერს ქალს სათანადო მხარდაჭერას. (Gülçin Akbaş, 2023)

მარიამ ჰერნანდესი სტატიაში - ,,ფემიციდის გაშუქება: როგორ იბრძვიან მექსიკელი ჟურნალისტები ქალების მიმართ ძალადობის ფაქტების გაშუქებისათვის" 2022წ. ყურადღებას იმაზე ამახვილებს, რომ მექსიკის ერთ-ერთ შტატში, რომელიც ცნობილია, ქალთა მიმართ ერთ-ერთ ყველაზე ძალადობრივ ადგილად, ჩაწერა 20 ინტერვიუ ჟურნალისტებთან, რომლებიც აშუქებდნენ ფემიციდის შემთხვევებს. მან გამოკვეთა, რომ ცალკეული ჟურნალისტები ფლობდნენ მხოლოდ ინფორმაციას აღნიშნული საკითხის გაშუქების სტანდარტის შესახებ და რეგულარულად ცდილობდნენ მოეძებნათ სწორი ფორმები, რათა უარესად არ წაეხალისებინათ ძალადობრივი ქმედებები. ცდილობდნენ სწორი ტერმინოლოგიის შერჩევასაც, იყენებდნენ სამართლებრივ ფორმებს. ავტორი სტატიაში იყენებს ტერმინს „ქალების მიმართ ძალადობა" და ხსნის, რომ სწორედ ეს ტერმინი უნდა იქნას

გამოყენებული ფაქტების გაშუქებისას, რადგან ძალადობა ძირითადად მიმდინარეობს სწორედ მათი გენდერული როლის გამო. (HERNANDES, 2023)

გუნილა კრანცი, ინგრიდ მოგრენი (2022 წ) თავიანთ ანგარიშში აღნიშნავენ, რომ ქალთა მიმართ ძალადობა არის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მთავარი პრობლემა მთელ მსოფლიოში. ქალთა მიმართ ძალადობა ფიზიკური, სექსუალური ან ფსიქოლოგიური სახით უფრო ხშირად გვხვდება ქვეყნებში, სადაც გენდერული თანასწორობის დონე დაბალია, არსებობს უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი და დაბალი სოციალური თანხვედრა. ზოგიერთ ქვეყანაში ჩატარდა ინტერვენციები ძალადობის გასაკონტროლებლად, მაგალითად, სათემო ორგანიზაციებში ქალთა მიმართ ძალადობისა და ადამიანის უფლებების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად. მკვლევრები მიიჩნევენ, რომ საჭიროა ზომების მიღება იმ მამაკაცთა წინააღმდეგ, რომლებიც ძალადობენ ქალებზე.

ამის მიუხედავად, პრობლემა შეიძლება დარჩეს აღიარების გარეშე, რადგან ქალები განმარტავენ მათზე განხორციელებულ ძალადობას, როგორც ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრების ნაწილს ან არ იციან, ვის მიმართონ დასახმარებლად. მათ შეიძლება ასევე დამალონ ძალადობრივი ზემოქმედება სოციალური სტიგმის გამო. გლობალურად ქალთა მიმართ ძალადობა ასევე ხელს უშლის მათ, თანაბარი მონაწილეობა მიიღონ ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში და, შედეგად, შედარებით ცოტა ქალი იკავებს გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებს საზოგადოებაში.

მაგალითად მოჰყავთ პაკისტანელი ქალები, რომლებმაც უნდა აღზარდონ შვილები, შეასრულონ საშინაო საქმეები, იყვნენ მორჩილნი და დაემორჩილონ ქმარსა და მის ოჯახს, მეუღლეები და სიძეები ზღუდავენ ქალების როგორც რეპროდუქციულ ავტონომიას, ასევე მათ უფლებებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ავტორების თქმით, განათლებული ქალები უკეთეს მდგომარეობაში არიან, მათ აქვთ პროფესიული კარიერა, მაგრამ ასეთი პრივილეგირებული ინდივიდები პაკისტანში უმცირესობას წარმოადგენენ. (https://www.tandfonline.com, 2012)

სარა როდრიგესი სტატიაში (2023წ) სათაურით: „ტვიტერი და მიზოგინია-სისტემური ანალიზი“ განიხილავს მიზოგინიას (ქალთა მიმართ სიძულვილს) სოციალური მედიის-Twitter-ის პლატფორმის ფარგლებში. ავტორი ამბობს, რომ მიზოგინია სცილდება ოფლაინსივრცეებს და ვრცელდება ონლაინგარემოში, რის გამოც ის სწავლობს ამ საკითხის ნიუანსებს, გამოვლენის მოდელებს, მომხმარებლის მახასიათებლებსა და პოტენციურ ძალადობას.

ავტორი გამოკვეთს 91 შესაბამის სტატიას. კვლევა ძირითადად მოიცავს 2015 წლიდან 2023 წლამდე პერიოდს, რომელიც ასახავს თანამედროვე ტენდენციებს სოციალურ პლატფორმაზე მიზოგინიასთან დაკავშირებით.

კვლევა ხაზს უსვამს, რომ ძალადობის წინაპირობა ხშირად არის ირონია, რომელიც მიემართებათ ქალებს და აღვივებს მიზოგინიას. ის ასევე განსაზღვრავს თემებისა და მომხმარებლების ტიპებს, რომლებიც მონაწილეობენ ქალთმოძულე ტვიტების გამოქვეყნებაში, სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით.

Twitter-ზე მიზოგინიის გავრცელებას ხელს უწყობს კონტენტის სიმარტივე. ავტორი დებს რეკომენდაციას, რომ Twitter-მა, როგორც სოციალური მედიის პლატფორმამ, უნდა შეასრულოს აქტიური როლი მისი მომხმარებლების დასაცავად.

ავტორის ძირითადი რეკომენდაციები მოიცავს ისეთ ინტერვენციებს, როგორებიცაა: პოზიტიური ურთიერთქმედების ხაზგასმა, პერსონალური სიტყვების გაფილტვრა და სტრუქტურირებული დებატების წახალისება. ასევე, შემოთავაზებულია სამართლებრივი დაცვა სიძულვილით გამოწვეული დანაშაულებისგან და ამ მიმართულებით მსოფლიოს კარგი პრაქტიკის პოპულარიზაცია. (Rodríguez González, 06.08.2023)

გაეროს ქალთა ორგანიზაციის საერთაშორისო კონსულტანტის რობინ ჰაარის მიერ 2023 წელს მომზადდა ანგარიში ,,ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში", რომელშიც აქცენტი გაკეთდა იმასთან დაკავშირებით, რომ ქალებისთვის თავისუფლების ჩამორთმევისა და მათზე დომინირების დამყარების მიზნით ხორციელდებოდა ძალადობა. მათ შორის, ეკონომიკურიც, რომელიც ფულადი რესურსების წართმევას გულისხმობს ან მისი შრომის მისაკუთრებას და მუქარის შემდეგ, თუ ქალი არ თანხმდება, არ ხდება დამყოლი, ის უპირობო ძალადობის მსხვერპლად იქცევა. ასევე ხაზგასმულია, რომ პარტნიორულ-ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში ხშირია ნასვამი მეუღლის მხრიდან სექსუალური ძალადობა, რომელიც ზედმეტად უხეში, არასათანადო მოპყრობითა და ტანჯვის მიყენებით ხასიათდება. კვლევის ფარგლებში აღნიშნულია ასევე, რომ ხშირია შანტაჟი, იძულება, დამცირება, სექსუალური შევიწროება, რომელიც ქალების მისამართით შეუქცევად ხასიათს ატარებს. კვლევა საკმაოდ მნიშვნელოვან აზრს ავითარებს, რომ ქალი ისჯება მაშინაც, როცა ის არ იქცევა სხვების შეხედულებებისამებრ, არ არის თანახმა, გააკეთოს ის, რასაც ეუბნებიან ოჯახის წევრები, თუნდაც ეს მიუღებელი იყოს. სოციალურ თემატიკაზე დაფუძნებული ძალადობა საკმაოდ აქტიურ ფორმას იძენს, ხოლო სამსახურში გენდერული ნიშნით არშერჩევაც კვლევის ავტორს ძალადობის ფორმად მიაჩნია. (N.Haarr, 2023)**ავტორთა ჯგუფი (ნადია კარლსონი, მარია უემრელი, მარისოლ ლილა) სტატიაში: ინტიმური პარტნიორის ქალთა მიმართ ძალადობის წარმოდგენა შვედურ საინფორმაციო მედიაში: დისკურსის ანალიზი**"- წარმოადგენს ანალიტიკურ ტექსტს იმის შესახებ, თუ როგორ იყო გაშუქებული ინტიმური პარტნიორების მიერ ქალთა მიმართ ძალადობა შვედურ გაზეთებში 2018 წელს. მიუხედავად შვედეთის რეპუტაციისა გენდერული თანასწორობის საკითხების ირგვლივ, ის აჩვენებს მაღალ მაჩვენებლებს. ეს კვლევა მიზნად ისახავდა გამოეკვლია, თუ როგორ ასახავს მედია ძალადობის ფაქტებს და არის თუ არა განსხვავებები დამნაშავის ეროვნებისა ან კულტურული წარმომავლობის განსხვავებულობის შემთხვევებში.

კვლევაში გამოყენებული იყო ორეტაპიანი დისკურსის ანალიზი. პირველი ნაბიჯი წარმოადგენდა რაოდენობრივ ანალიზს იმის დასადგენად, თუ როგორი იყო ქალთა მიმართ ძალადობის გარშემო დისკურსი: ინდივიდუალისტური თუ სტრუქტურული. მეორე ნაბიჯი მოიცავდა თვისებრივ ანალიზს სტატიებში წარმოდგენილი ახსნა-განმარტებითი მოდელების გამოსაკვლევად.

მათი უმეტესობა ფოკუსირებულია მოძალადის მახასიათებლებზე, როგორიცაა ფსიქიკური დაავადება ან ნარკოტიკების ბოროტად გამოყენება, ვიდრე ძალადობის უფრო ფართო სოციალურ სტრუქტურებთან დაკავშირება.

როდესაც მოძალადეები იყვნენ არაშვედები, არსებობდა ტენდენცია, რომ ძალადობა სტრუქტურულ საკითხად მიიჩნიეს.

„მედიის როლი რასალიზაციაში": კვლევა ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ უწყობს ხელს მედია რასალიზაციის (პროცესებს ძალადობის ფაქტების განსხვავებულად წარმოჩენით, რაც

დამოკიდებულია დამნაშავის მიერ აღქმულ ფონზე, რაც აძლიერებს სტერეოტიპებსა და კულტურულ რასიზმს. (Nadja Karlsson,MarisolLlila, Maria Wemrell, 2020,27.07)

ვერა ლომაცის სტატია „ქალთა მიმართ ძალადობის კულტურული ფესვები: ინდივიდუალური და ინსტიტუციური გენდერული ნორმები 12 ქვეყანაში“ - აანალიზებს ქალთა მიმართ ძალადობის (VAW) კულტურულ ფესვებს, ფოკუსირებულია ინდივიდუალურ და ინსტიტუციურ გენდერულ ნორმებზე, რომლებიც განსაზღვრავს გენდერულ კულტურას და ქმნის პირობებს ძალადობისთვის, ასევე ლეგიტიმაციას აძლევს შესაბამის როლებსა და ქცევებს. კვლევაში განხილულია 12 ქვეყანის: სომხეთის, კვიპროსის, ჩეხეთის, გერმანიის, საბერძნეთის, ნიდერლანდების, რუმინეთის, რუსეთის, სერბეთის, სლოვაკეთის, თურქეთისა და უკრაინის მაგალითები.

ნაშრომი განიხილავს ქალთა მიმართ ძალადობას, როგორც ადამიანის უფლებათა ყოვლისმომცველ დარღვევას, რომელიც ვლინდება სხვადასხვა ფორმით, მათ შორის, ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობის, ტრეფიკინგისა და მავნე პრაქტიკის, როგორიცაა იძულებითი ქორწინება და ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება, სახით. სტატია განსაზღვრავს ინდივიდუალურ ფაქტორებს: ბავშვობაში ძალადობა, ქორწინებაში ძალადობის გამოვლენა და ნივთიერებების ბოროტად გამოყენება, რითაც ძალადობრივი ქცევის პროგნოზირება შეიძლება. ასევე,კონფლიქტი, მამაკაცის კონტროლი ოჯახსა და გადაწყვეტილების მიღებაზე. განათლებისა და ეკონომიკური ძალაუფლების უთანასწორობა გავლენას ახდენს ქალთა მიმართ ძალადობაზე, როდესაც ისინი აპროტესტებენ ტრადიციულ გენდერულ როლებს.

სტატია მიმოიხილავს ასევე საზოგადოებრივ ფაქტორებს, როდესაც კულტურული და სოციალური დამოკიდებულებები, მათ შორის, მედიის მიერ გამყარებული, დიდ როლს თამაშობს ძალადობის ნორმალიზებაში.

გენდერული ნორმები და ძალადობა: გენდერული ნორმები ჰკარნახობს მამაკაცებსა და ქალებს შესაბამის ქცევას და აყალიბებს დამოკიდებულებას გენდერული როლების მიმართ. პატრიარქალური ნორმებით მცხოვრებ საზოგადოებები ხშირად ამართლებენ ძალადობას, როგორც ტრადიციული გენდერული როლების დაცვის საშუალებას. მორალურ ნორმებს, რომლებიც გავლენას ახდენს სოციალური ფასეულობებით, შეუძლია ამ პრაქტიკის მხარდაჭერა ან გამოწვევა.

ავტორის აზრით, ეროვნულ და ტრანსნაციონალურ ინსტიტუტებს შეუძლიათ გააძლიერონ ან ებრძოლონ გენდერულ უთანასწორობას თავიანთი პოლიტიკისა და რეგულაციების მეშვეობით.

ავტორის კვლევის მიზანია გენდერული ნორმების მიმოხილვა 12 ქვეყანაში და იმის წარმოჩენა, თუ როგორ მოქმედებს ეს ნორმები ინდივიდუალურ, ეროვნულ და ტრანსნაციონალურ დონეზე ქალთა მიმართძალადობის ფაქტებზე. იგი ხაზს უსვამს გენდერული ნორმების გაგებისა და მიდგომის მნიშვნელობას ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისა და მისი პრევენციის მიზნით.

კვლევაში მოცემულია, რომ გენდერული ნორმები შეიძლება იყოს ძალადობის ფუნდამენტური მიზეზი. ისინი განსაზღვრავენ, რა არის მიღებული ქცევა თითოეულ სქესთან დაკავშირებით, ზოგიერთ კულტურაში ქალთა მიმართ ძალადობა შეიძლება განიხილებოდეს, როგორც სამართლიანი სჯა ან მორჩილების ფორმა.

სტატიის მიხედვით, გენდერული ნორმების გავლენა შეიძლება იგრძნობოდეს როგორც ინდივიდუალურ, ისე ინსტიტუციურ დონეზე. მაგალითად, ტრადიციული გენდერული როლები და ინსტიტუციური დისკრიმინაცია ხელს უწყობს იმგვარი ნორმების ჩამოყალიბებას, რომლებიც ლეგიტიმაციას აძლევს ძალადობას ქალთა მიმართ.

კვლევამ გაანალიზა 12 ქვეყნაში გენდერული ნორმებისა და ძალადობის კონტექსტში არსებული მდგომარეობა. ქვეყნებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები იკვეთება გენდერული ნორმების სიმკაცრისა და ინსტიტუციური მხარდაჭერის დონის თვალსაზრისით. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში ტრადიციული და პატრიარქალური გენდერული როლები უფრო მტკიცედ არის ჩამოყალიბებული, რაც ხელს უწყობს ძალადობის ,ნორმალიზაციას, თითქოს ეს ჩვეულებრივი ამბავია და განხილვასაც არ საჭიროებს.

ამ კვლევაში წარმოდგენილი ანალიზი ხაზს უსვამს იმას, რომ გენდერული ნორმების შეცვლა კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში. საჭიროა, როგორც ინდივიდუალური, ისე ინსტიტუციური მიდგომების გადახედვა და რეფორმირება, რათა დაცული იყოს ქალთა უფლებები და გენდერული თანასწორობა. (Lomazzi, 2023.31.01)**Lisa D. Dellinger, Megan K. Krieger სტატიაში: ,,გენდერული ძალადობა და მედია გაშუქება: როგორ აყალიბებს მედია ქალთა მიმართ ძალადობას“,** კვლევა ფოკუსირებულია იმის წარმოჩენაზე, თუროგორ ახდენს გავლენას სხვადასხვა მედიაფორმატები (ტელევიზია, პრესა, სოციალური მედია) ქალთა წინააღმდეგ ძალადობის აღქმისა და რეაგირების პროცესზე.

სტატია აღწერს მედიის მიერ ქალთა წინააღმდეგ ძალადობის გაშუქების ძირითად ჩარჩოებს, როგორებიცაა: კრიმინალური ჩარჩო, მსხვერპლის ბრალი და სოციალური ჩარჩო.

ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ მედია ხშირად აჩვენებს ძალადობას როგორც ინდივიდუალურ პრობლემას და არა- სისტემურს.

კვლევაში აღნიშნულია, რომ მედიის როლი ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში არის არა მხოლოდ ინფორმაციის გავრცელება, არამედ საზოგადოებისა შეხედულებებისა და პოლიტიკის კორექცია. მედიის მუშაობა უნდა იყოს დაფუძნებული რეალობაზე და უნდა მოიცავდეს ფართო ანალიზს, რათა ხელი შეუწყოს ცვლილებებს და დასახოს სამოქმედო გეგმები. (Sarah M. McMahon, 2020)

ნორტობეკო ნ. რთული (Nontobeko N. Ntuli) კვლევაში სახელწოდებით: „გენდერული ძალადობის მედია პორტრეტი“: მიმოიხილავს ქალთა მიმართ ძალადობას სამხრეთ აფრიკაში.

სამხრეთ აფრიკა ყოველთვის მღელვარების საგანია, სადაც ძალადობის სტატისტიკა მაღალია. 2012 წლიდან 2015 წლამდე, სექსუალური დანაშაულების სტატისტიკა ვარირებდა 53,617-დან 66,197-მდე შემთხვევამდე. კვლევებმა აჩვენა, რომ ძალადობის უმრავლესობა ჩადენილია მამაკაცების მიერ.

კვლევა მოიცავს რაოდენობრივ და ხარისხობრივ მონაცემებს, რათა სრულად შეისწავლოს მედიის გავლენა. მკვლევარმა ფოკუს ჯგუფების მონაწილეები შეარჩიეს სპეციალურად განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. სოციოლოგიური გამოკითხვები განხორციელდა შემთხვევითობის პრინციპით.

კვლევა მიმართულია იმისკენ, რომ მედიამ უნდა აღიაროს თავისი პასუხისმგებლობა და აქტიურად იმუშაოს ისეთი კონტენტით, რომელიც ხელს შეუწყობს რეალური სურათის მიწოდებას და საზოგადოებრივი აზრის პოზიტიური ცვლილებებისკენ მიმართვას.

სტატია ასევე ეხება ძალადობას ქალჟურნალისტებზე. ავტორთა მტკიცებით, ჟურნალისტები განიცდიან სექსუალურ, ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ ძალადობას, განსაკუთრებით კონფლიქტურ ზონებში. უსაფრთხო სამუშაო პირობების არარსებობა ამწვავებს ამ საკითხს.

სტატიების გარდა, არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი და ანგარიში, რომლებიც ამ თემას განიხილავს.

„ფემიციდის გაშუქების პრაქტიკა ქართულ სატელევიზიო მედიაში“ - ნაშრომი განიხილავს, თუ როგორ აშუქებს ქართული სატელევიზიო მედია ფემიციდის შემთხვევებს და რა გავლენას ახდენს ეს საზოგადოებრივ აღქმაზე. ავტორი მიმოიხილავს ფემიციდის შემთხვევების გაშუქების ტენდენციებსა და პრაქტიკას საქართველოში და მიზნად ისახავს, გაანალიზოს, თუ როგორ აისახება ფემიციდის საკითხები ქართულ მედიაში და რა გავლენას ახდენს ეს საზოგადოებრივ აზრზე.

ავტორი ძირითად ასპექტებს გამოყოფს და აღნიშნავს, რომ ფემიციდი წარმოადგენს სერიოზულ სოციალურ პრობლემას, რომლის გაშუქება მედიაში უმნიშვნელოვანესია, როგორც ცნობიერების ამაღლების, ისე პრევენციული ზომების გასატარებლად.

ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ როგორ წარმოსახავს მედია ფემიციდის შემთხვევებს. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მედიაში სენსაციურ და დრამატულ ასპექტებზე, რაც ხშირად იწვევს ტრაგედიის კომერციალიზაციას.

ავტორის თქმით, მედიაში ფემიციდის გაშუქება ხშირად სტერეოტიპულია და არ მოიცავს სიღრმისეულ ანალიზს. ყურადღება გამახვილებულია ინდივიდუალურ შემთხვევებზე, ხოლო ფემიციდის სტრუქტურული და სისტემური მიზეზები (პატრიარქალური ნორმები, გენდერული დისკრიმინაცია) ნაკლებადაა წარმოჩენილი.

მედიის ნარატივში ხშირად გვხვდება მსხვერპლის დადანაშაულების ელემენტები („ის თავად იყო მიზეზი“).

ნაშრომის ავტორი აღწერს კონკრეტულ მაგალითებს, ასახავს ფემიციდის შემთხვევების გაშუქების რაოდენობრივ და შინაარსობრივ ანალიზს და აჩვენებს, როგორ აისახება ეს ფაქტები სატელევიზიო გადაცემებში. ავტორი მიიჩნევს, რომ ფემიციდის გაშუქება ქართულ მედიაში მნიშვნელოვანი გამოწვევაა. საჭიროა მეტი პროფესიონალიზმი, ეთიკური სტანდარტების დაცვა და გენდერული სტერეოტიპების დაძლევა, რათა მედია იქცეს ფემიციდის პრევენციისა და ცნობიერების ამაღლების ეფექტურ ინსტრუმენტად, ამიტომ მან უნდა უზრუნველყოს მსხვერპლის მხარდაჭერაზე მორგებული ნარატივის შექმნა. **(l.javakhishvili, 2020.8.08)**

„ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში“ - მოიცავს მონაცემებს ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობაზე საქართველოში და განიხილავს მედიაში ამ საკითხის გაშუქების პრაქტიკას. ის წარმოადგენს ეროვნული მნიშვნელობის დოკუმენტს, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საქართველოში არსებული სიტუაციის დეტალურ ანალიზს გვთავაზობს. კვლევა შემუშავდა გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მხარდაჭერით და ფოკუსირდება ძალადობის სახეობებზე, გავრცელების მასშტაბებსა და საზოგადოებრივ აღქმაზე. კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდოლოგიით. გამოიყენეს მონაცემები, რომლებიც აიღეს ინტერვიუებისა და გამოკითხვების გზით. გამოიკითხა როგორც მსხვერპლები, ასევე სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები, რომლებიც ძალადობის შემთხვევებზე მუშაობენ.

კვლევა აღწერს ძალადობის რამდენიმე ძირითად ფორმას, მათ შორის, ფიზიკურ, სექსუალურ, ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ ძალადობას. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა ფსიქოლოგიურ ძალადობას, რომელიც ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. მონაცემები აჩვენებს, რომ ოჯახში ძალადობა მნიშვნელოვან პრობლემად რჩება, განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობაში.

ავტორთა თქმით, საზოგადოებაში კვლავ ძლიერია პატრიარქალური სტერეოტიპები და გენდერული როლების ტრადიციული აღქმა.

ბევრი შემთხვევა რჩება დაურეგისტრირებელი, რადგან მსხვერპლებს ხშირად ეშინიათ სოციალური სტიგმის და არასაკმარისად ენდობიან სამართლებრივ სისტემას. კვლევის ავტორები მიიჩნევენ, რომ მედიაში ოჯახში ძალადობის გაშუქება ხშირად არაეთიკურია და არ ითვალისწინებს მსხვერპლთა დაცვის სტანდარტებს. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ინფორმაციის გაშუქების სენსიტიურობაზე.

კვლევა ასახავს, რომ ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობა საქართველოში ჯერ კიდევ ფართოდ გავრცელებული პრობლემაა, რომელსაც გააჩნია როგორც ინდივიდუალური, ისე სოციალური ფესვები.

ავტორები ხაზს უსვამენ, რომ საჭიროა კომპლექსური და ინტეგრირებული მიდგომა, რომელიც ერთდროულად მოიცავს საკანონმდებლო ცვლილებებს, მედიაში ეთიკური სტანდარტების გაუმჯობესებასა და საზოგადოების განათლებას. (chitashvili, javaxishvili, aryutinovi, tsuladze, chachanidze, 2010)

სტატია „ქალთა მკვლელობის ბოლო შემთხვევები შემაშფოთებელია და სახელმწიფოსგან პრევენციული მუშაობის რადიკალურ გაძლიერებას საჭიროებს“ (qalta mkvlelobis bolo shemtxvevebi shemashfotebelia, 20.01.2024) განიხილავს მედიაში ქალთა მკვლელობების გაშუქების პრობლემებს და სახელმწიფოს როლს პრევენციულ მუშაობაში. ის ხაზს უსვამს ქალთა მიმართ ძალადობის უკიდურესი ფორმის – ფემიციდის მზარდ საფრთხეს საქართველოში.

სტატიის ავტორები აღნიშნავენ, რომ ბოლო პერიოდში ფემიციდის შემთხვევების რაოდენობის ზრდა შემაშფოთებელი გახდა და საჭიროებს დაუყოვნებლივ რეაგირებას. სახელმწიფოს პრევენციულ მუშაობაში აღინიშნება სისტემური პრობლემები, რაც გულისხმობს არასაკმარის სამართლებრივ ჩარჩოს და სოციალური მხარდაჭერის მექანიზმების სირთულეს. სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი პოლიტიკის არარსებობა იწვევს კრიტიკას, განსაკუთრებით პრევენციულ ღონისძიებებზე დაბალი ყურადღების გამო. საზოგადოებაში გაბატონებული პატრიარქალური ნორმები და სტერეოტიპები ხელს უწყობს ფემიციდის შემთხვევების უგულებელყოფას.

სტატია აკრიტიკებს მედიაში ფემიციდის გაშუქების ტენდენციას, რომელიც ხშირად სენსაციალიზაციას ეყრდნობა. ყურადღება მახვილდება იმაზე, რომ მედიამ უნდა მოახერხოს საზოგადოებაში გენდერული ძალადობის პრობლემის სიღრმისეული წარმოჩენა და მსხვერპლთა მხარდაჭერა.

სტატიის ავტორები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფომ უნდა გაძლიეროს პრევენციული მუშაობა, რაც მოიცავს საკანონმდებლო და ინსტიტუციური რეფორმების განხორციელებას, ხოლო მედიამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს ეთიკური გაშუქება და ხელი შეუწყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.

სტატია ხაზს უსვამს ასევე იმასაც, რომ ფემიციდი მხოლოდ ინდივიდუალური პრობლემა არ არის, არამედ სოციალური და სისტემური საკითხია. ავტორები მოუწოდებენ სახელმწიფოს, გააძლიეროს ინტეგრირებული მიდგომა, რომელიც მოიცავს როგორც სამართლებრივ, ისე საზოგადოებრივ ჩარჩოს.

სტატია **„Violence against Women in Georgia“** (ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში) წარმოადგენს გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტისთვის (CEDAW) წარდგენილ ანგარიშს. ეს დოკუმენტი დეტალურად განიხილავს საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის ძირითად პრობლემებს, სამართლებრივ და ინსტიტუციურ ჩავარდნებსა და სახელმწიფოს მიერ მიღებულ ზომებს.

დოკუმენტი შეიმუშავეს ადამიანის უფლებათა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და მის მიზანს წარმოადგენს საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის სფეროში არსებული პრობლემების საერთაშორისო დონეზე წარმოჩენა. ანგარიში განსაკუთრებით ფოკუსირებულია სახელმწიფო პოლიტიკის ნაკლოვანებებსა და არსებული სტრუქტურების ეფექტურობაზე.

დოკუმენტში აღწერილია, რომ ფიზიკური და სექსუალური ძალადობა საქართველოში ფართოდ გავრცელებული პრობლემაა. ქალები ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი როგორც ოჯახურ გარემოში, ისე საჯარო სივრცეში. ავტორების თქმით, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა კვლავ სერიოზული გამოწვევაა, რომელიც ხშირად შეუმჩნეველი რჩება. საზოგადოებაში გავრცელებული პატრიარქალური ნორმები და გენდერული სტერეოტიპები ქალთა მიმართ ძალადობის მთავარი სტრუქტურული მიზეზებია. ქალთა ეკონომიკური და სოციალური უფლებები ხშირად ირღვევა, რაც ხელს უწყობს მათი მოწყვლადობის ზრდას.

ამასთანავე, ავტორები მიიჩნევენ, რომ ქალები ხშირად არ მიმართავენ სამართლებრივ სისტემას, რადგან არ ენდობიან მის ეფექტიანობას ან ეშინიათ საზოგადოებრივი სტიგმის. პოლიცია ხშირად არ უზრუნველყოფს სათანადო დაცვას მსხვერპლებისთვის, რაც აძლიერებს ძალადობის განმეორებადობას.

ანგარიშში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება თავშესაფრებისა და ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრების სიმცირეზე. მედიასაშუალებების მხრიდან საკითხის გაშუქება ხშირად სტერეოტიპულია და არასაკმარისად სენსიტიური. ამიტომ დოკუმენტის ავტორები მოუწოდებენ მედიას, უფრო ეთიკურად და პასუხისმგებლიანად წარმოაჩინოს ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევები. (Japaridze,Chitanava,Aladashvili,Duarte, 08.2006)

სტატია **„Gender Violence in the Georgian Media: Representation and Social Implications“** (გენდერული ძალადობა ქართულ მედიაში: წარმოდგენა და სოციალური შედეგები) განიხილავს, თუ როგორ არის წარმოჩენილი გენდერული ძალადობის საკითხები ქართულ მედიაში და რა გავლენას ახდენს ამგვარი გაშუქება საზოგადოებაზე. სტატიაში მოცემულია ანალიზი მედიაში გავრცელებული ნარატივების, გაშუქების სტრატეგიებისა და სოციალური კონტექსტის შესახებ.

ტექსტების შინაარსობრივი ანალიზიმოიცავს სტატიებს, სატელევიზიო სიუჟეტებსა და ონლაინმედიის მასალებს. აქცენტი გაკეთებულია პრობლემების წარმოჩენის ფორმებსა და იმ სტერეოტიპებზე, რომლებიც შეიძლება ამ მედიაშინაარსებში იყოს წარმოდგენილი.

სტატიის ავტორები მიიჩნევენ, რომ ქართული მედია ხშირად იყენებს სენსაციურ ტონს, რაც აკნინებს საკითხის სერიოზულობას. ძალადობის ფაქტების დეტალური აღწერა ხშირად მიმართულია მორალური დასჯის ან შოკის ეფექტის გამოსაწვევად. გაშუქების ნაწილი შეიცავს მსხვერპლთა დადანაშაულების ელემენტებს, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს სტიგმას. ძალადობა ხშირად წარმოჩნდება როგორც ინდივიდუალური პრობლემა, ხოლო მისი სოციალური და სისტემური საფუძვლები უგულებელყოფილია.

მედიასაშუალებების ნარატივები პირდაპირ გავლენას ახდენს საზოგადოების აზროვნებასა და გენდერული ძალადობისადმი დამოკიდებულებაზე, ხოლო სენსაციური გაშუქება ხელს უშლის პრობლემის საფუძვლიან გააზრებას. გაშუქების არაეთიკური სტანდარტები ხელს უწყობს მსხვერპლთა სტიგმატიზაციას და ხშირად აბრკოლებს მათთვის დახმარებას.

სტატიის ავტორები მიიჩნევენ, რომ ქართულ მედიაში გენდერული ძალადობის გაშუქებას ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა აქვს. ისინი გამოთქვამენ რეკომენდაციებს მედიის როლის გასაუმჯობესებლად: მედიამ უნდა გაითვალისწინოს მსხვერპლთა უფლებები და უზრუნველყოს მათთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.

გაშუქება უნდა მოიცავდეს ძალადობის მიზეზებისა და სისტემური პრობლემების ანალიზს. მედიამ უნდა ითამაშოს საგანმანათლებლო როლი, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების უფრო ჰუმანური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ავტორის აზრით, ქართული მედია ხშირად იყენებს ემოციურ ენას, რაც მაყურებელს ან მკითხველს ცალკეული ძალადობის შემთხვევების უფრო შოკისმომგვრელად წარმოჩენის საშუალებას აძლევს. მაგალითად, სათაურებით მედია ცდილობს გამოიწვიოს ინტერესის გაზრდა.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ძალადობის მსხვერპლი ფსიქოლოგიურად ან სოციალური თვალსაზრისით დასახელებულია, როგორც დამნაშავე. მაგალითად, თუ ქალი არ დაასტურებს ძალადობის შემთხვევას, მას ზოგჯერ არ ენდობიან ან უპასუხისმგებლო მხარედ ასახელებენ. ტერმინებით ხშირად ხდება მსხვერპლის ფსიქოლოგიური მდგომარეობის მცდარი ინტერპრეტაცია.

სტატიის მიხედვით, ძალადობის შემთხვევები ხშირად წარმოჩნდება როგორც პირადი კონფლიქტები, რაც მნიშვნელოვნად აზარალებს პრობლემის ფართო სოციალური ასპექტის გაგებას. მედია ხშირად მიუთითებს, რომ ძალადობის მიზეზი მხოლოდ ოჯახურ ურთიერთობებშია,.

ავტორების აზრით, გაშუქების სტრატეგია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების აზროვნებაზე. ისეთი ტიპის გაშუქება, როგორიც არის სენსაციურობის ელემენტის სიჭარბე და მსხვერპლის დადანაშაულება, მხოლოდ ახალ სტერეოტიპებს ქმნის, რომლებიც არ ეხმარება გენდერული ძალადობის პრობლემის გადაწყვეტას.

ძალადობის ნიუანსური გაშუქება არანაირი დადებითის მომტანი არაა ძალადობის მსხვერპლისათვის. გაშუქების პროცესში უნდა შეინიშნებოდეს ძალადობის სისტემური და სოციალური ფუძეები, რაც გულისხმობს არა მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევებს, არამედ მთელ კულტურულ და სოციალურ სტრუქტურას. მაგალითად, საუბარი უნდა იყოს იმის შესახებ, რომ ძალადობა არა მარტო ფიზიკური, არამედ ფსიქოლოგიური და ეკონომიკური თვალსაზრისითაც სახეზეა.

ავტორის აზრით, მედიაკორპუსისთვის უნდა არსებობდეს სპეციალიზებული ტრენინგები, რომლებიც დაეხმარება ჟურნალისტებს, სწორად და ჰუმანურად გაშალონ ძალადობის შემთხვევები უფრო სიღრმისეულად და ეთიკურად. ამით ის არ დაეყრდნობა ზედაპირულ შეხედულებებს და სტერეოტიპულ სურათებს თავიდან აიცილებს. (Sandhya Lohani, Sha-Hanna Saffold, Tanya Jules, Brenda Blackwell, Suzanne Shurling, 2021)

ს. თოთიბაძე წიგნში „სიძულვილის ენა და გენდერული სტერეოტიპები ქართულ ციფრულ მედია-დისკურსში“ გენდერული თანასწორობისა და ქალთა მიმართ ძალადობის საზოგადოებრივ რეაგირებაზეა ორიენტირებული. წიგნი დეტალურად განიხილავს მედიის როლს ქალთა საკითხების გაშუქებაში და მისი გავლენის შეზღუდვებსა და შესაძლებლობებს.

ავტორის მიერ წიგნში ხაზგასმულია შემდეგი საკითხები:

1. **გენდერული სტერეოტიპების გაშუქება მედიაში** - მედიაში ქალთა საქმეები ხშირად დამახინჯებული ფორმითაა წარმოდგენილი, ქალები წარმოდგენილია სტერეოტიპული სახით, რაც ცუდად მოქმედებს საზოგადოების აღქმაზე. ამგვარი სტერეოტიპები შეიცავს მათ მუდმივ დაქვემდებარებას მამაკაცებზედა ხელს უშლის მათი სრულფასოვანი როლის გამოკვეთას.
2. **სექსისტური ენის გამოყენება** - მედია ძალიან ხშირად იყენებს სექსისტურ ენას, რაც ეხმარება ქალებსა და მამაკაცების შორის უთანასწორო სტატუსის ჩამოყალიბებას.
3. **ქალთა საკითხების მედიაში გაშუქება** - მიუხედავად იმისა, რომ ქალთა საკითხები მედიაში გაცილებით უფრო ხშირად განიხილება, ეს ტექსტები ხშირად ზედაპირულია და ნაკლებად ღრმა ანალიტიკას მოიცავს. აქედან გამომდინარე, საჭიროა უფროა სერიოზული მიდგომა ქალთა საკითხების გაშუქებისას.

სექსისტური გამონათქვამები და კლიშეები: განხილულია მედიაში გაჩენილი სექსისტური გამონათქვამები და კლიშეები, რომლებიც ასახავს ქალების მიმართ დამამცირებელ დამოკიდებულებებს, რაც ხელს უშლის მათი ნამდვილი პოტენციალის წარმოჩენას. ხშირად ქალები წარმოდგენილი არიან, როგორც „მისახედი“ ან „დასახმარებელი“ პერსონაჟები. ქალების ცხოვრების რეალური სურათის ფორმირებისას მედია ხშირად ასახავს მათ სუსტ და დამოკიდებულ მდგომარეობაში, რაც ამყარებს ტრადიციულ სტერეოტიპებს.

გენდერული დისბალანსი მედიაში: ავტორი აღნიშნავს, რომ მედიასაშუალებებში ქალთა და მამაკაცთა წარმომადგენლობა არ არის თანაბარი. ქალები ბევრად ნაკლებად არიან წარმოდგენილი მთავარ როლებში, განსაკუთრებით წამყვან და გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე.

ავტორი იკვლევს, თუ როგორ ვლინდება ქალთა საკითხების გაშუქება მედიაისტორიაში და როგორ განუწყვეტლივ იცვლება გაშუქების ხერხები. ასევე განხილულია, თუ როგორ უმკლავდება მედია დღეს გენდერულ სტერეოტიპებს და როგორ ერიდება ამ თემებთან დაკავშირებულ სირთულეებზე საუბარს.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ გაშუქება ხშირად ზედაპირულია და არ ასახავს ძალადობის მთელ სიღრმეს. ის ბევრ შემთხვევაში სუბიექტურია, ცნობს ქალთა უფლებების დარღვევას მხოლოდ კონკრეტულ კონტექსტებში, ხოლო ზოგჯერ საერთოდ უგულებელყოფს მათ.

ხშირად ჟურნალისტებმა არ იციან, სწორად და პროფესიულად როგორ დასვან საკითხები, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალისტებს ჰქონდეთ შესაბამისი განათლება და გამოცდილება, რათა უკეთ შეძლონ გენდერულად სწორი ინფორმაციის გავრცელება.
ასევე აუცილებელია, რომ ჟურნალისტები იყვნენ სენსიტიურები ქალთა საკითხების მიმართ.ავტორის აზრით, იმისთვის, რომ გენდერული საკითხები მედიაში სწორად და ეფექტურად გაშუქდეს, საჭიროა მრავალმხრივი თანამშრომლობა – როგორც ჟურნალისტებს შორის, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან, განათლების სისტემასა და გენდერულ საკითხებზე მომუშავე ექსპერტებთან.

რეგიონული მედია უნდა იყოს უფრო აქტიური: ავტორი აღნიშნავს, რომ რეგიონულმა მედიამუნდა გამოიყენოს თავისი მიკრომედიაპლატფორმები იმისთვის, რომ გააძლიერონ ქალთა საკითხებზე მუშაობა. წიგნში ასევე საუბარია არატრადიციული ორიენტაციის მქონე ქალების საკითხების გაშუქების პრობლემებზე. ავტორი აღნიშნავს, რომ ეს ჯგუფი ხშირად სათანადოდ არ არის წარმოჩენილი. ანალიტიკური კვლევების მიხედვით, არატრადიციული ორიენტაციის მქონე ქალები ხშირად განიცდიან მედიაში სტიგმატიზაციას და კონტენტი, რომელიც მათ ეხება ხშირად სავსეა არაზუსტი და დამამცირებელი სტერეოტიპებით. (თოთიბაძე, 2023)

ეუთოს მიერ გამოქვეყნებული ანგარიში „**Addressing Violence Against Women in Politics and the Public Sphere**“ ყურადღებას ამახვილებს ქალთა მიმართ ძალადობის ფორმებზე, რომლებიც ზღუდავს ქალთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ჩართულობას. ანგარიში ეხება როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ და ონლაინძალადობას, რომელიც ხშირად გამოიყენება ქალების გაჩუმებისა და მათი საზოგადოებრივი აქტივობიდან განდევნის მისაღწევად.

ანგარიშის მიხედვით, ქალების მიმართ გამოვლენილი აგრესია მიმართულია მათი საზოგადოებრივ ცხორებაში ჩართულობის შეზღუდვისკენ. მუქარა, დაშინება და შეურაცხყოფა გავლენას ახდენს ქალების თვითშეფასებასა და აქტიურობაზე. სოციალური მედიის პლატფორმებზე ქალების მიმართ მტრული შეტყობინებები, სიძულვილის ენა და დეზინფორმაციის კამპანიები სწორედ ამ მიზნებს ისახავს.

ამ ,,კამპანიის გამო“ ქალები თავს არიდებენ საჯარო ცხოვრებასა და პოლიტიკურ აქტივობებს. ხდება სტიგმის გაძლიერება, რაც დამატებით ზღუდავს ქალთა მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ანგარიშის ავტორები მიიჩნევენ, რომ მედია შეიძლება იყოს როგორც პრობლემის გამაწვავებელი, ისე მისი გადაჭრის ხელშემწყობი, ამიტომ საჭიროდ მიიჩნევენ ქალთა უფლებების გაძლიერებას კანონმდებლობისა და პოლიტიკის საშუალებით, საჯარო კამპანიებს ძალადობის აღმოსაფხვრელად და სამართლიანობის უფრო ეფექტურად უზრუნველყოფას. ანგარიში ხაზს უსვამს სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევის მნიშვნელობას, რათა გაძლიერდეს ქალთა უფლებები და შემცირდეს ძალადობის რისკები.

ხსენებული დოკუმენტი გვაჩვენებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სივრცეებში არის სერიოზული პრობლემა, რომელიც საჭიროებს მულტიდისციპლინურ მიდგომას და პრიორიტეტულად უნდა იქნას აღქმული. (ეუთოს

რეგიონში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტები, 2022)

ევროპის საბჭოს მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტი **„ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია: სტამბოლის კონვენციის მე-12 მუხლი“** მიმოიხილავს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის სტრატეგიებს, რომლებიც განსაზღვრულია სტამბოლის კონვენციის მე-12 მუხლში. დოკუმენტი ხაზს უსვამს გენდერული სტერეოტიპების დაძლევის, მამაკაცებისა და ვაჟების ჩართულობის, მოწყვლადი ჯგუფების დაცვისა და ქალთა გაძლიერების მნიშვნელობას.

დოკუმენტის მიხედვით, ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისთვის აუცილებელია საზოგადოებაში არსებული გენდერული სტერეოტიპებისა და ტრადიციების გადახედვა, რომლებიც ხელს უწყობენ ქალთა დისკრიმინაციას. ავტორების თქმით, მამაკაცებისა და ვაჟების აქტიური მონაწილეობა გენდერული თანასწორობის მიღწევსა და ძალადობის პრევენციაში კრიტიკულად მნიშვნელოვანია. მომეტებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ქალებს, რომლებიც განსაკუთრებულად მოწყვლადნი არიან ძალადობის მიმართ, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების, ლგბტაქ+ თემის წარმომადგენლებსა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს.

დოკუმენტის ავტორები მიიჩნევენ, რომ ქალთა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური გაძლიერება აუცილებელია, რათა მათ შეძლონ საკუთარი უფლებების დაცვა და ძალადობისგან თავდაცვა. ამიტომ აუცილებელია ასევე განათლების სისტემაში გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრაცია, საზოგადოებრივი კამპანიების ჩატარება გენდერული სტერეოტიპების დასაძლევად. მამაკაცებისა და ვაჟების ჩართვა გენდერული თანასწორობის პროგრამებში, მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინება პოლიტიკის შემუშავებისას. დოკუმენტი შეიცავს პრაქტიკულ მაგალითებს და რესურსებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას პოლიტიკის განხორციელებისას.

დოკუმენტში საუბარია მედიის ჩართულობაზე დანაშაულის პრევენციის საქმეში. ის თამაშობს დიდ როლს საზოგადოებაში ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის გააზრებაში. მისი საშუალებით შესაძლებელია ძალადობის მიზეზებზე, შედეგებსა და პრევენციის გზებზე განათლების გავრცელება. მედიის გავლენით შეიძლება სტიგმის შემცირება და მსხვერპლთა გაძლიერება.

დოკუმენტის თანახმად, ზოგჯერ მედია იყენებს „სენსაციის ენას“, რომელიც შეიძლება ზიანის მომტანი იყოს მსხვერპლისთვის და გააძლიეროს სტიგმა. ხშირად პრობლემა წარმოდგენილია ინდივიდუალური კონტექსტით და არა სისტემურ დონეზე, რაც ართულებს ძალადობის პრევენციისთვის სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებას. მედია ზოგჯერ არ იცავს მსხვერპლთა პირად ინფორმაციას, რაც იწვევს დამატებით ტრავმებსა და მათი უსაფრთხოების რისკებს. გავრცელებულია სტერეოტიპული ნარატივები, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობის პასუხისმგებლობას მსხვერპლს აკისრებს ან ამართლებს მოძალადეს. (მარიან ესთერი,სარა-ჯეინ ლილეი, 2014)

„მედიის თვითრეგულირება და პროფესიული სტანდარტები“ განიხილავს მედიაში ეთიკის, პროფესიული სტანდარტებისა და თვითრეგულირების მექანიზმებს. მასში აღწერილია, როგორ უნდა გაშუქდეს სხვადასხვა საკითხები ჟურნალისტური ეთიკის დაცვით, მათ შორის, გენდერული ძალადობა. დოკუმენტი მოიცავს საუკეთესო პრაქტიკებს,

საერთაშორისო სტანდარტებს და მედიის პასუხისმგებლობას წარმოაჩენს საზოგადოების წინაშე. აქცენტი კეთდება დეზინფორმაციისა და სიძულვილის ენის პრევენციაზეც. (მედიაეთიკა და პროფესიული სტანდარტი)

დოკუმენტი **„გენდერული თანასწორობის გაშუქების მონიტორინგის ანგარიში“** მიმოიხილავს ქართულ მედიაში გენდერული საკითხების გაშუქების ტენდენციებს. ანალიზი ეფუძნება მედიის შინაარსობრივ კვლევას და აჩვენებს, როგორ არიან წარმოდგენილი ქალები და გენდერული ძალადობა მედიაში. ანგარიშის მიხედვით, არსებობს პრობლემები, როგორებიცაა: სტერეოტიპული გაშუქება და გენდერული ბალანსის ნაკლებობა. დოკუმენტის ავტორების ერთ-ერთი მთავარი მიზანი ისეთი შემთხვევების გამოვლენაა, რომლებიც ამყარებს ან ამსხვრევს ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებულ გენდერულ სტერეოტიპებს. საერთო ჯამში, შემთხვევები, როცა გენდერული სტერეოტიპების გამყარება ხდება, აჭარბებს სტერეოტიპების მსხვრევის შემთხვევებს, თუმცა ავტორები აღნიშნავენ, რომ მონიტორინგის პერიოდში გამოვლინდა ამის მცდელობის მაგალითებიც. ქალ მძღოლებს, პარკინგისა და გადატვირთული მოძრაობის შესახებ ეკითხებიან კაც მძღოლებთან ერთად, კახეთში რთველის გაშუქებისას, ქალი რთველის მენეჯერად და კაცის თანასწორადაა წარმოდგენილი, სამხედრო ქალები სირიაში, სამზარეულოში საჭმლის მომზადებით დაკავებული კაცი. თუმცა, ასეთი მაგალითები ბევრი არ არის და ჟურნალისტების მცდელობა, რომ დაამსხვრიონ სტერეოტიპები, ყოველთვის სისრულეში ვერ მოდის. მაგალითად, ერთ-ერთ სიუჟეტში გადატვირთულ მოძრაობასთან დაკავშირებით ქალ მძღოლს ჰკითხეს საწვავზე გაზრდილი ფასის შესახებ ისევე, როგორც კაც მძღოლებს. თუმცა ქალს ასევე ჰკითხეს საკვები პროდუქტების ფასებზე, რითიც ხაზი გაუსვეს ქალის საზოგადოებაში დამკვიდრებულ როლს. სიუჟეტებში პროდუქტების ფასის, ხარისხის შესახებ ხშირად მეტ ქალ რესპონდენტს ვხვდებით, ვიდრე კაცს და ესეც აძლიერებს სტერეოტიპს, რომ ქალია პასუხისმგებელი საკვების ყიდვასა და მომზადებაზე.

გენდერული სტერეოტიპის გამყარების კიდევ ერთი მაგალითია სიუჟეტი სათამაშოების ხარისხზე, სადაც ნეიტრალურ და ობიექტურ ტექსტს თან ახლდა ბავშვების თამაშის კადრები. თუკი ერთ-ერთ პირველ კადრში პატარა გოგო და ბიჭი ერთად თამაშობენ მანქანით ქვიშაში, რაც სტერეოტიპებისგან თავისუფალი ვიზუალიზაციის კარგი მაგალითია, შემდეგ არის კადრი, სადაც გოგო თამაშობს თოჯინით, აჭმევს და აძინებს მას, ძილის წინ უმღერის კიდეც.

ბავშვები გენდერული როლების შესახებ პატარაობიდანვე სწავლობენ. შესაბამისად, სათამაშოების სეგრეგაცია ამისი სწავლის ძლიერი ინსტრუმენტია. თოჯინების, სამზარეულოს აქსესუარებისა და მსგავსი სათამაშოების წარმოდგენა „გოგოს სათამაშოებად“ აძლიერებს არსებულ სტერეოტიპებს, რასაც შემდგომში გავლენა აქვს იმაზე, თუ რა როლში ხედავენ გოგოები და ქალები თავის თავს მომავალში.

ანგარიშის ავტორების აზრით, სატელევიზიო სივრცეში გამოყენებული ენა ზოგჯერ არ არის გენდერულად ნეიტრალური. სიტყვების/ფრაზების ჩამონათვალი, რაც ამყარებს გენდერულ სტერეოტიპებს, მოიცავს ქალების მოხსენიებას „ქალბატონოთი“ არა მათთვის მიმართვის დროს, არამედ მათზე საუბრის დროს.

ასევე ქალების აღსანიშნავად ისეთი ფრაზების გამოყენებას, როგორიცაა „სუსტი სქესის წარმომადგენლები“, „მშვენიერი სქესი“. ამავდროულად კაცების მოხსენიებას „ძლიერ სქესად“. საკითხებისა და პროფესიების დაყოფას „კაცურ“ და „ქალურ“ საქმეებად. ასეთი

სიტყვები/ფრაზები აძლიერებს უთანასწორობას ქალებსა და კაცებს შორის. მსგავსი ტერმინების გამოყენება, მონიტორინგის შედეგების მიხედვით, ხშირი არ არის. თუმცა, ამის მაგალითები არაერთ სატელევიზიო არხზე გვხვდება. (კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, 15.11.2017)

ამგვარად, მოხმობილი და განხილული ლიტერატურის თანახმად, ცხადი ხდება, რომ მედიასტანდარტები კიდევ უფრო დასახვეწია, შესაბამისი ენისა და ნორმების შემუშავება აუცილებელია, ხოლო საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისა და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, მედიამკვლევრები საჭიროდ მიიჩნევენ კვლევების გაგრძელებასა და მათი პრეცენდენტულობის სიღრმისეული ანალიზის ჩატარებას.

ბიბლიოგრაფია

Chitashvili, javaxishvili, aryutinovi, tsuladze, chachanidze. (2010). *qalta mimart dzaladobis sakitxebis kvleva saqartveloshi.* tbilisi: /georgia.unfpa.org.

Japaridze, Chitanava, Aladashvili, Duarte. (08.2006). *Violence against Women in Georgia .* New York: omct.org.

I. javakhishvili. (2020.8.08). _pemitsidis_gashukebis_praktika_kartul_satelevizio_mediashi. *researchgate.net*.

Lisa D. Dellinger, M. K. (2021). *https://www.unwomen.org/*.

Lomazzi, V. (2023.31.01). The Cultural Roots of Violence against Women: Individual and Institutional Gender Norms in 12 Countries. *www.mdpi.com*.

N.Haarr, D. (2023). National Study on Violence against Women in Georgia 2022. *https://georgia.unwomen.org*.

Nadja Karlsson, Marisol Llila, Maria Wemrell. (2020,27.07). Representation of Intimate Partner Violence Against Women in Swedish News Media: A Discourse Analysis. *journals.sagepub.com*, 27.

Ntuli, N. N. (2021). *Media Portrayal of Gender-Based Violence: A Perception Study in Uitenhage, Eastern Cape South Africa.*

qalta mkvlelobis bolo shemtxvevebi shemashfotebelia. (20.01.2024). *socialjustice.org.ge*.

Sandhya Lohani, Sha-Hanna Saffold, Tanya Jules, Brenda Blackwell, Suzanne Shurling. (2021). Underreporting of intimate partner violence against women: An.

Sarah M. McMahon, N. D. (2020). Gender-based violence and media coverage: How the media frames violence against women.

თოთიბაძე, ს. (2023). *სიძულვილის ენა და გენდერული სტერეოტიპები ქართულ ციფრულ მედია-დისკურსში.* თბილისი: გამომცემლობა ,,უნივერსალი".

(2022). *ეუთოს რეგიონში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტები.* ვარშავა: https://www.osce.org/.

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი. (15.11.2017). *გენდერული თანასწორობა საქართველოს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გაშუქებაში.* https://www.undp.org/.

მარიან ესთერი, სარა-ჯეინ ლილეი. (2014). *ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია სტამბოლის კონვენციის მე-12 მუხლი.* https://rm.coe.int/.

(თ. გ.). *მედიაეთიკა და პროფესიული სტანდარტი.* www.mdfgeorgia.ge.

Dynamics of coverage of violence against women 2020-2025. (on the example of Palitra-TV, "Rustavi 2", TV "Imedi")

introduction and literature review

Zhana Asanidze

Annotation

Violence against women refers to any act of gender-based violence that causes physical, sexual or psychological harm or suffering to women. This type of violence can take many forms, but is not limited to domestic violence, sexual violence, rape, human trafficking, genital mutilation, and forced prostitution. It is a widespread and deep-rooted problem that affects women of all ages, backgrounds and social status all over the world.

Correct coverage of this issue will ensure victim protection and prevention, which will reduce such increased statistics.

Accurate definitions and the right reporting system help society hold criminals more accountable, "neutralize" them, which will lead to less violence in the future.

Proper reporting informs the public about the causes of such violence, risk factors and mechanisms of impact on the perpetrator, thereby contributing not only to prevention efforts, but also to social change.

The right coverage allows survivors to talk about their experiences, break the silence and advocate for change. They also became "helpers" of people who still do not have information on how to escape from violence, how to act in case of need.

Overall, proper coverage of violence against women is essential to address this widespread human rights violation, promote gender equality, and create a safe environment for all individuals.

Ignoring ethical standards in reporting on violence can have significant consequences for both individuals and society as a whole. If the media disseminates incomplete information or misinformation without ethical guidelines, it can cause public confusion, mistrust of the media, violate the presumption of innocence, and introduce stigmas.

These practices may also violate privacy laws, and sensationalist coverage may cause emotional distress, reputational damage, and even physical harm.

The purpose of this research paper is to reveal the dynamics of coverage of violence issues by the media, to show the trends of media transformation in this regard, and to develop such principles of coverage that will not encourage a certain part of society, increase the statistics of violence, will not aggravate the situation of the victims' family members, will not create a new stigma and will not make the broadcasts Misplaced emphasis so as not to inadvertently encourage crime.The subject of this research paper is to develop the principles of media coverage that does not encourage a certain part of the society, increase the statistics of violence, does not aggravate the situation of the victims' family members, does not create a kind of stigma and does not make wrong accents in programs, does not unintentionally encourage crime.